**გაზეთი ღირს**

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1892



## სასწავლებელი და პანსიონი

## ჯორჯიკიასი

(ქუთაისში)

გიმნაზიის, პროგიმნაზიის, რეალურ და სხვა სასწავლებლების პირველ და მოსამზადებელ კლასში მომზადებისათვის აიღებს სამ-სამს მანეთს თვიურად. პანსიონერებს შენახვისა და სწავლისათვის გადაახდევინებს წლიურად 180 მან. სასწავლებლის პანსიონში შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება გიმნაზიის და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. მეორე, მესამე და სხვა კლასებში მომზადებისათვის მეტსაც აიღებს. ვისაც პანსიონში შვილის მიბარება ან დატოვება უნდა, საჭიროა ოც აგვისტოდგან პირველ სექტემბრამდე შეგვატყობინოს (ტფილისის ქუჩა, საკუთარ სახლში).

(20—103—18)


### ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

ცხინვალის მაზრის მკურნალი იუწყება, რომ 1—14 სექტემბრამდე ცხინვალში ხოლერით ავად გახდა 2, მორჩა 3, გარდაიცვალა 1, ავადმყოფი აღარ არის; დგვრისში ავად გახდა 1, მორჩა 1, ავად არავინ არის; ტყვიავში ავად გახდა 2, მორჩა 3, ავად აღარავინ არის; ზემო-ჭალაში ავად გახდა 4, მორჩა 2, გარდაიცვალა 1, დარჩა 1 ავადმყოფი; გომში ავად გახდა 13, მორჩა 2, გარდაიცვალა 1, დარჩა 10; არკნეტში ავად გახდა 3, მორჩა 2, გარდაიცვალა 1, ავად აღარავინ არის; ტეზერში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1, დარჩა 1; მარანაში ავად გახდა 3, გარდ. 2, დარჩა 1; კარბში ავად გახდა 10, გარდ. 1, მორჩა 4, დარჩა 5; სოფ. ქერში ავად გახდა 1, გარდ. 1.

ახალქალაქის მაზრის სოფლებში 16 სექტემბერს ავად გახდა 2, მორჩა 4; ქალაქში გარდ. 1, მორჩა 2; ავადმყოფი სოფლად არის 6, ქალაქში 2.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ გომსა და სურამში ბ-ნ კიკვაძის მიერ შეკრებილი 11 მან. 90 კაპ. ა. ყაზბეგის სახელობაზედ დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა გვქონდა 372 მან. 75 კაპ. ამითი შესდგა 384 მან. 65 კაპ.

*** უწმიდესმა სინოდმა სთხოვა ეპარქიის უფროსებს, გაეცით განკარგულება, რომ სამრევლო სკოლებში ხელობა ასწავლონო: ჯერ დურგლობა და შემდეგ სხვა ხელობაცაო.

*** წელს სამოც-და-ჩვიდმეტი ყმაწვილი კაცი იყო მსურველი შესვლისა ალექსანდრეს საოსტატო ინსტიტუტში. ამათში რვას ეთქვა უარი, რადგან წლოვანობა ნებას არ აძლევდათ ჯარში გასასვლელის კენჭის ამოღებამდე კურსი გაეთავებინათ. სამოც-და-ცხრამ დაიწყო ეგზამენის დაჭერა. ამათგან მიიღებენ მხოლოდ 18 კაცს, რადგან მეტი ვაკანსია არ არის. აუარებელი რიცხვი ყმაწვილებისა მიაწყდა აგრეთვე სამოქალაქო სასწავლებელს, რომელიც ინსტიტუტთან არსებობს, მაგრამ აქაც ვერა ჰნახეს სიუხვე ვაკანსიებისა. სასწავლებლის მთავრობას წინადვე ჰქონდა გამოცხადებული, რომ ყმაწვილები მიიღებიან მხოლოდ 1-სა და მე-6 განყოფილებაშიო.

*** 14 სექტემბერს ბ-ნმა ტფილისის პოლიცმეისტერმა საჩუქრები დაურიგა მალაკნის ქალებს, რომლებიც ავჭალის ქუჩაზედ მუქთად ემსახურებოდნენ ხალხს უფასო საჩაიეში. ბევრმა მიიღო აბრეშუმის შალი. ფონო ბილლერისა და დ. ვ. ბაბცევის ქალმა და კლიმენტიევმა ვერცხლის კალათები მიიღეს. ფერშალმა თ. ლ. საგინაშვილმა, რომელიც მუქთად უკეთებდა დეზინფექციას იმათ, ვინც ჩაის სასმელად მიდიოდნენ, მიიღო საჩუქრად საათი. მ. მ. ბელიძევმა ალბომი სურათებისთვის. ოქროს ჟეტონები მიიღეს: მ. მ. მჭედლიძემ და ე. ბ. ინასარიძემ. ყველა ესენი უსასყიდლოდ ემსახურებოდნენ ამ უფასო საჩაიეს.

*** ტფილისის სამოსამართლო პალატამ 16 სექტემბერს გაარჩია ფრიად საყურადღებო საქმე ახალციხის მცხოვრებთ გაბრიელ და მიხეილ აგულოვებისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ მოკვლა ახალქალაქის მაზრის მემამულესი, სამსახურიდგან გამოსულ არტილერიის შტაბს-კაპიტან მიხეილ ივანესძის მუსხელაშვილისა, რომელიც მოკლულ იქმნა თავისს საკუთარს სახლში 25 სექტემბერს 1890 წ. ტფილისის ოლქის სასამართლომ, რომელმაც ეს საქმე გაარჩია ამ ზაფხულს ახალციხეში, ბრალდებულთ გადუწყვიტა 12 წლით კატორგა. შემდეგ საქმე გადატანილ იქმნა ტფილისის სამოსამართლო პალატაში, რომელმაც ორივე ბრალდებული სრულიად გაამართლა.

*** 17 სექტემბერს, ღამე, როდესაც კეროქჩაიდგან საქონლის მატარებელი მიდიოდა გერანს, გზაში ვიღამაც გასტეხა ვაგონის კარები და მოიპარა 10 ფუთი დაუჭრელი თამბაქო. დამნაშავე ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

*** 17 სექტემბრიდგან ქუთაისის სადგურზედ გაუქმებულ იქმნა დეზინფექცია მგზავრთა, რომელთაც ამას შემდეგ მხოლოდ მკურნალი ინახულებს ხოლმე.

*** დიდი ხანია ნავთის გამყვან მილის გაკეთებას ჰფიქრობენ ბაქოდგან ბათუმამდე, მაგრამ ეს საქმე დღემდე შეუსრულებელია. ამ ჟამად ნავთის მილის გაკეთებას ჰფიქრობს თვით რკინის გზის მმართველობა, რომელიც ამ დღეებში შეეკითხა გულდშინსკის მილის მკეთებელს ქარხანას სოსნოვიცში, შეგვატყობინეთ, რა ეღირება ნავთის გამოსაყვან სხვა-და-სხვა ზომის მილების გაკეთებაო. თუ ამ მილების გაკეთება იაფად დაჯდება, მმართველობა ჰფიქრობს მალე შეუდგეს მილის გაყვანას ბაქოდგან ბათუმამდე რკინის გზის გაყოლებაზედ.

ზემოხსენებულმავე რკინის გზის მმართველობამ დაიბარა ამ დღეებში მოსკოვიდგან 600 ცალი ცეცხლის საქრობი მანქანა.

*** ქარელი (გორის მაზრა): 14 სექტემბერს საღამო ხანზედ მედუქნე როინაშვილს და ხანდაკელ მეტივეს ჩხუბი მოუვიდათ. ჩხუბის ზიზეზი ის იყო, რომ მეტივეს მედუქნისა ერთი აბაზი მართებოდა და ამ ფულს თურმე არ აძლევდა, მედუქნე-კი ჩასციებოდა: „უნდა მომცეო“! შეზარხოშებული მეტივე მოთმინებიდგან გამოვიდა და მედუქნე მუცელში და მკლავში დასჭრა დანით. მედუქნე მძიმედ არის მუცელში დაჭრილი. მკურნალი თურმანიძე ადგია და იმედს აძლევს, უთუოდ მორჩებიო.

*** იქიდამვე: აქამდე ქარელელებს არც პურის მაღაზია ჰქონიათ და არც ხეირიანი კანცელარია. კანცელარია თუმცა ჰქონდათ, მაგრამ ვაი ამისთანა ქონებას: შიგ არ შეისვლებოდა. მაზრის უფროსმა მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას და დაავალა სოფელს, უსათუოდ კანცელარია და პურის მაღაზია ააშენეთო. ეს ერთი თთვე იქნება, რაც ქარელელები შეუდგნენ პურის მაღაზიისა და კანცელარიის შენებას. პურის მაღაზია თითქმის კიდეც დაასრულეს დ კანცელარიის საძირკველიც ამოიყვანეს. თთ. ციციშვილებმა სამოცამდე ტივის ხე უსალბაშოდ დაუთმეს სოფელს და ეხლა ჰპირდებიან ყავარსაცა.

*** ზავურციხე (სიღნაღის მაზრა): შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა ჩვენში ამას წინად. ერთად თურმე ქეიფობდნენ რამდენიმე მემამულენი, გვარად ვ—ძენი. ქეიფს მალე ჩხუბი მოჰყვა და ხანჯლებმაც დაიწყო ტრიალი. პირველად იძრო თურმე ხანჯალი გ. ს. ვ—ძემ და შესცა მუცელში დ. ი. ვ—ძეს. დაჭრილს მიეშველა უკანიდგან და დაიჭირა, რომ არ წაიქცესო, ვ. ვ—ძე. დაჭრილს-კი ასე ეგონა, ეს ის არის სწორედ, რომელმაც დამჭრაო, გამწვავებულმა იძრო ხანჯალი და თავის მშველელს ამხანაგს ვ. ვ—ძეს შესცა მუცელში, თითონაც მოკვდა და ისიც თან გაიყოლა. პირველად ხანჯლის ამომღები დააპატიმრეს.

*** იქიდამვე: აი ერთი ამბავი კიდევ: თ. ს. ი. ვ—ძე სიღნაღიდგან ცხენით მოდენილიყო, ნასვამმა გამოაჭენა ცხენი, გადმოვარდა თურმე და იქავე გარდაიცვალა. დედის-ერთა ვაჟკაცი დედას მკვდარი მიაყენეს კარს. დედა მის დანახვაზედ დამბლად დაეცა.

*** დუშეთი: 16 სექტემბერს, ღამე, აქ დიდი ამბავი მოხდა. უცებ დაიკარგა გასათხოვარი ახალგაზდა ქალი ერთის აქაურის გავლენიანის კაცისა, ჩ—კოისა და იმასთან ერთად გაჰქრა ბ-ნი გო—ჩი. ქალის მოხუცებული მამა დიდად გამწარდა, გაეშურა ტფილისს, ყველა ქალაქსა და მაზრებში დეპეშები მისწერა, ჯვრის წერის ნება

## ფელეტონი

### თითო ქოხი ავიშენოთ

სოფლად ვიყავი. ამბავი მომივიდა, ტფილისში ხოლერა მოისპოვო, სანიტარები დაითხოვესო, დიდის შრომითა და უძილობით დალალულებმა აფთიაქების პატრონებმა მოსვენებას მისცეს თავი და ყოველ საღამოს ბაღებში ცოცხალს თევზს მიირთმევენ და კუპრიას ტკბილის დუდუკითა სტკბებიანო. ვიფიქრე, რაც მომივა, მომივიდეს-მეთქი, და ტფილისში ჩამოვედი.

ტფილისში პირველი და უმთავრესი ჩემი საქმე ის იყო, რომ რიგიანი სახლი მეშოვნა ქირით, რადგანაც ეს ზამთარი აქ მინდა გავატარო. დავიწყე ქუჩა-ქუჩა ხეტიალი. დავიარე მთაწმინდა, ჩუღურეთი, კუკია, ხარფუხი, ვერა... მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ვერსად ვერ ვიშოვნე ისეთი სახლი, როგორიც მინდოდა. ბევრი ცალიერი სახლი გავსინჯე, ერთ-ოთახიანიც, ორ-ოთახიანიც, სამ-ოთახიანიც, ოთხიანიც, მაგრამ არ იქნა, არა მეშველა-რა. თურმე ნუ იტყვით, ტფილისის სახლის პატრონები და ხუროთ-მოძღვარნი განგებ ისე აშენებენ სახლებს, რომ ადამიანისათვის შიგ დგომა მოუხერხებელია.

ერთს ქუჩაში კედელზედ მიკრული ქაღალდი ვნახე: „აქ იძლევა სამი კარგი ოთახი იაფად“. გავსინჯე ეს სამი „კარგი“ ოთახი და რა აღმოჩნდა:

ერთს ოთახს ერთად ერთი ფანჯარა აქვს და ამ ფანჯრის წინ მეზობლის სახლის კედელია ამოშენებული.

— ამ ოთახში ბნელა-მეთქი, ვუთხარი სახლის პატრონს.

— ეს ოთახი საწოლი ოთახი გახლავთო, მიპასუხა სახლის პატრონმა, და თქვენთვის უმჯობესია, რომ დილით მზის სხივებმა არ შემოაშუქოს და უდროვო დროს ძილი არ დაგიფთხოს.

მეორე ოთახი იმოდენაა, რომ თაგვი კუდს ვერ მოიქნევს.

— ეს სასტუმრო ოთახია, მითხრა სახლის პატრონმა, და აბა რა საჭიროა, რომ დიდი იყოს? რაც ნაკლები ხალხი დაეტევა ამ ოთახში, იმდენი უფრო ნაკლებად მოგივათ ხოლმე სტუმარი...

მესამე ოთახი აღარ გამისინჯავს...

მთელი ერთი კვირა ვეძებე სახლი. გავსინჯე ორმოც-და-თხუთმეტი სახლი და აი რას მოგახსენებთ: 1) ყველა სახლის ეზოში საშინელი უსუფთაობაა; 2) ზოგი ოთახი შვიდ-კუთხიანია, ჭერი ჩამოქცევას აპირებს, კედლები ნამითაა გაჟღენთილი. ღუმელი ისეა გამართული, რომ ძნელია სთქვას კაცმა, ზამთარში ოთახს გაათბობს, თუ უბრალოდ დაიწვის შეშა.

მომბეზრდა ხეტიალი და სახლების სინჯვა. ერთი სახლი ამოვირჩიე, სამ ოთახიანი, და სახლის პატრონსა ვკითხე, რა ეღირება-მეთქი? თუ ერთის წლის ვადით „კანდრახტით“ შემეკვრებით, თთვეში 25 მანათს გამოგართმევთ და, თუ თთვიურად იქირავებთ, თთვეში 30 მანათსაო.

ისევ წლით ვარჩიე სახლის დაქირავება და სახლის პატრონმა „კანდრახტი“ მომიტანა ხელის მოსაწერად. აი სიტყვა-სიტყვით ეს „კანდრახტი“.

1) მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერმა, ამა და ამ სახლის პატრონისაგან დავიქირავე სამი ოთახი და ვალდებული ვარ თთვის პირველს დილის 6 საათამდე ჩავაბარო სახლის პატრონს 25 მანათი ქირა. სხოლიო: თუ ვინიცობაა ამ ფულის ჩაბარება დილის ექვს საათს გადავაცილე, 200 მანათი „ნეუსტოიკა“ უნდა გადავიხადო.

2) მე ქვემორე ამისა ხელის მომწერი ვაძლევ ხელ-წერილს სახლის პატრონსა, რომ, თუ ვინიცობაა ჩემ მიერ დაქირავებული სახლი ან ცეცხლმა დასწვას, ან წყალმა წალეკოს (სახლი წყლის პირას არის გაშენებული), ან სიძველისა გამო ჩამოიქცეს, მე მაინც მოვალე ვარ სახლის პატრონს ქირა ვაძლიო, ვიდრე ამ „კანდრახტის“ ვადა გათავდებოდეს.

3) მე ქვემორე ხელის მომწერი ვაძლევ პირობას ჩემს სახლის პატ-

არ მისცეთ ჩემს ქალსა და ჩემთან დააბრუნეთ დუშეთშიო.

*** „Нов. Об.“-ეს სწერენ ხიდისთავიდგან: 16 ამ თთვეს ატენისა და ხიდისთავის საზოგადოებას დიდხანს ესაუბრა საფილოქსერო დასის უფროსი ექსპერტი თ. ნ. ანდრონიკაშვილი ფილოქსერისა და სხვა ვაზის ამომგდებ მტრის შესახებ. გლეხკაცობა გულმოდგინედ ისმენდა ექსპერტის ლაპარაკს და საკმაოდ მიხვდა, რაც არის მტერი ვაზისა, რა წამლობაც უნდა და რა სიფრთხილეა საჭირო, რომ სულ არ ამოვარდეს ჩვენს ქვეყანაში სასარგებლო საქმე მევენახობისა. ექსპერტმა თვალ და თვალ აჩვენა გლეხ-კაცობას სხვა-და-სხვა აპარატი, რომლითაც უნდა იბრძოლოს ხალხმა ვაზის დასაცვავად, მისცა ნიმუშად წამლებიც—გოგირდი და შაბიამანი და დაურიგა ქართულად დაწერილი დარიგება ყოველ ზემოხსენებულ საგნის შესახებ. 15 სექტემბერს იმავე ექსპერტმა წაიკითხა ლექცია ზემოხსენებულისავე საგნის გამო ქ. გორში და ახლა აპირობს ასეთისავე ლექციების კითხვას ქართლის სხვა-და-სხვა სოფელში.

*** „С-Пб. Вѣд.“-ის სიტყვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გუბერნატორების შუამდგომელობისა გამო ნება დაურთავს, რომ დროებით კვლავ ჰმოქმედებდნენ შიმშილობისა გამო დაწესებული კომიტეტები.

*** გაზ. „Новости“-ს გაუგონია: უმართებულესმა სენატმა ის საქმე, თუ რა წესით უნდა იქმნას აღსრულებაში მოყვანილი მომრიგებელ-სასამართლო დაწესებულებათა განაჩენი, ვინიცობაა დასასჯელი სხვა სასამართლოს ნაწილში სცხოვრობსო, ამ გვარად გადასწყვიტა: ასეთს შემთხვევაში განაჩენის დამდგენელი მომრიგებელი-მოსამართლე, სისხლის სამართლის დებულების მე-185 მუხ. ძალით, განაჩენის აღსრულებას იმ მომრიგებელს-მოსამართლეს აუწყებს და ავალებს, რომლის ნაწილშიაც სცხოვრობს დასასჯელიო.

*** გაზეთ „Кавказъ“-ს სწერენ ქუთაისიდგან: 14 სექტემბერს ქუთაისში გარდაიცვალა ჩერნოგორსკის პოლკის შტაბს-კაპიტანი ხახანაშვილი. განსვენებულმა ხახანაშვილმა 13 სექტემბერს მთელი დღე ჯარების სადგურში გაატარა, ორ ხოლერიანს ჯარის-კაცს უვლიდა. საღამოთი თითონ გახდა ხოლერით ავად. ადგილობრივ სამკურნალოში გაჰგზავნეს და იქ 7—8 საათის შემდეგ გარდაიცვალა. ხახანაშვილი ჯერ ახალგაზდა კაცი იყო, ამხანაგებსა და ნაცნობებს ძლიერ უყვარდათ. განსვენებულს დარჩა მეუღლე და 6 შვილი სრულიად უსახსროდ.

*** გაზ. „Новость“-ი სწერს, რომ ვარსკვლავთ-მრიცხველობის პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტისა ს. პ. ფონ-გლაზენაპი ამ წლის დამლევამდე დარჩება აბასთუმანს, სადაც მან გაჰმართა მთაზედ ობსერვატორია. გლაზენაპის აბასთუმანში ყოფნის დროს ლექციებს ვარსკვლავთ-მრიცხველობის შესახებ პროფესორი ა. მ. ჟდანოვი წაიკითხავს ხოლმე.

*** „Судебная Газета“ იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცაო შემდეგი ცვლილებანი აწ მომქმედ სათამასუქო წესდებაში: თამასუქში აღნიშნული უნდა იყოს, თუ ფულის ამღებმა სად უნდა გადაიხადოს ფული; ხოლო თუ აღნიშნული არ არის, ასეთ ადგილად ითვლება ის ადგილი, სადაც თამასუქი მიუცია ფულის სესხად ამღებს, და არა მისი საცხოვრებელი ბინა. პროტესტი სავალდებულოა მხოლოდ თამასუქის მიმცემის წინააღმდეგ და არა ზედწამწერელთა წინააღმდეგ. პროტესტის ნება ყველასა აქვს, ვისაც-კი ხელთ თამასუქი ეჭირება, ამისთვის თამასუქის პატრონის რწმუნება საჭირო არ არის. შემოღებული იქმნება ახალის სახის თამასუქები. ხოლო იმ საქმეების წარმოება და გარდაწყვეტა-კი, რომელიც ვალეის გადაუხდელობისა, დაქირავების ხელ-შეკრულობათა და თამასუქების გამოა ატეხილი, ოლქის სასამართლოსსაზოგადო კრების გარდაწყვეტილებით, მიენდობა ოლქის სასამართლოს ერთსა ანუ რამდენსამე წევრს. იმ წევრს სასამართლოსას, რომელსაცასეთისსაქმეებისგადაწყვეტა აქვს დაკისრებული, შეუძლიან პასუხის-მგებელს, ვისზედაც საჩივარია შეტანილი, დაუნიშნოს არამცთუ დღე, საათიც-კი. თუ არც მომჩივანი მივიდა სასამართლოში და არც მოპასუხე, საქმე მაინც უნდა გაირჩეს. ამასთანავე ყოველივე საკამათო საგანი, უკმაყოფილება და პასუხი უნდა შეტანილ და განცხადებულ იქმნას საქმის განხილვამდე, იმ შემთხვევის გარდა, თუ საბუთის ქაღალდი ყალბად არის შედგენილი. ასეთის გარემოების განცხადება-კი ყოველთვის შეიძლება.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სიღნაღი**, 27 მარიამობისთვე. ყველამ იცის, რომ ჩვენს წინაპართ შეუწირავთ თავიანთ სისხლით მორწყული მამული საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში უცხო ქვეყნების მონასტრებისათვის, ბერ-მონაზონების საკვებ-საცხოვრებლად და მონასტრების შესანახავად. იმ ფიქრით შეუწირავთ, რომ საუკუნოდ უზრუნველ ვყოთ ვაი-ვაგლახით შეძენილი წმიდა მონასტრები ამ მამულების ღალით და ზედ მცხოვრებელ ყმების შემოსავლითა. სხვათა შორის „პორტაიტის ივერიის“ მონასტრისთვის მამულები შეუწირავთ: 1) მეფე გიორგის, 2) მეფე ერეკლეს და 3) ბატონიშვილს დავითს. ამ მამულებისაგან კარგი შემოსავალი აქვს მონასტერს უცხოელების სასარგებლოდ და არა ქართველთა. ქალაქ სიღნაღში არის 27 დესიატინა და 296 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა: 1) 9 დესიატინა სასახლე ადგილი, 2) 5 დესიატინა სავენახე, 3) 11 დესიატინა ტყე-ჯაგებიანი, 4) 2 დესიატინა ცალიერი ადგილი. გარდა სიღნაღისა, ზემოხსენებულ მონასტერს აქვს კიდევ მამულები სიღნაღისავე მაზრის სოფელ საქობოს 250 დღიური მიწა: სასახლები 5 დღიური, სავენახე 50 დღიური, სახნავ-სათიბები 195 დღიური. შემოსავალი ექნება 534 მანეთზედ მეტი; ნუკრიანში 5 დესიატინა (შემოსავალი სადავოა). ქალაქ თელავის მაზრის სოფელ გულგულაში 415 დესეტინაა (შემოსავალი 600 მანეთზედ მეტია). ქ. ტფილისს ორი სახლი (შემოსავალი 610 მანეთზედ მეტია) ქ. გორის მაზრაშიაც აქვს, მაგრამ მისი ცნობა არა გვაქვს. სულ ერთად რომ ვიანგარიშოთ, 4,000 მანათზედ მეტი შემოსავალი ექნება.

რაში იხარჯება ეს ქართველთა ნაშრომ-ნაღვაწი ფული, ან სად მიდის და რა სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის, ეს ყველამ იცის და არც მე გამოვუდგები ამის ახსნას. ვიტყვით მხოლოდ, რა ტანჯვა და მწუხარებაც გვინახავს სიღნაღში მონასტრის მამულების მოღალე ხალხისა.

სიღნაღში, როგორც ზევით მოგახსენეთ, აქვს მონასტერს მამულები 27 დესეტინა და 296 ოთხ-კუთხი საჟენი. ამ მიწაზედ სცხოვრობს 282 კომლი და 295 მოღალე. ღალა შემოდის ადგილისდა გვარად, ე. ი. ზოგან მეტი, ზოგან ნაკლები. სულ-კი ქ. სიღნაღის მოღალეთაგან შემოუვათ 2,115 მანათზედ მეტი. ამ ადგილებზედ დასახლებული მომეტებულ ნაწილად სულ ხელ-მოკლე ხალხია, რომელნიც გამოჰქცევიან სოფლის უსამართლობას და გაცვეთილ მოხელეობას და შემოჰფარებიან ქალაქს, მაგრამ ვაი ამ შემოფარებას. „ვაის გავექეც, უის შევეყარეო“, სწორედ ასე მოუვიდათ ამათაც. სიღნაღში დააწვათ ოთხ ნაირი გარდასახადი: 1) ბერს უნდა აძლიო ქირა პირობისამებრ, 2) დასაფასებელი გარდასახადი, 3) სახელმწიფო ხარჯი და 4) ახლად შემოღებული გარდასახადი ბაჟი. ამას უძლებენ და დაუყოვნებლივ იხდიან, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამაზედ მომეტებული ხარჯი, ერთმანეთის თავ-პირის მტვრევა, სამდურავი, საჩივარი და ზარალი სხვა მოსდით. ყოველივე ესე ადვილი ასაცილებელია, თუ პატრონი ეყოლება ხალხს, მაგრამ სად არის პატრონი, ნამეტნავად უქონელ და ხელ-მოკლე ხალხისათვის. აი ეს უკანასკნელი დავიდარაბა, ზარალი საიდგან ჩნდება. ქალაქ სიღნაღს უჭირავს სულ ოღრო-ჩოღრო ადგილები და სამონასტრო მამულებიც ამ ნაირია. წმ. სტეფანეს ეკკლესიის აქეთი მხარე ისეთი ფერდობი ადგილია, რომ, ერთი კენჭიც რომ დააგორო, ანაგის [1]) ხევამდე არ დადგება; იქითა მხარეს რომ დააგორო კიდევ, მაშნაარის [2]) თავამდის ვერ დააყენებ. აი, ამისთანა ადგილზეა გაშენებული თითქმის $^1/_4$ სიღნაღისა და ისე ახლო-ახლოა სახლები, რომ, გარდა ერთის დიდის გზისა, თითო ფეხის ბილიკი არც-კი აქვთ სავლელად. ცას გავარდება ნამი თუ არა, ასტყდება ერთი ორონტრიალი და წივილ-კივილი, მოვარდება წვიმის ღვარები და ვაი იმას, ვის სახლსაც მიაწვება ეს გამგელებული ღვარ თქაფი თავისაუარებელ ქვა-ღორღით; არა აქვთ მიცემული მამულის პატრონისაგა წყლის სავალი ადგილი, არა თუ წყლისა, ისე სავლელიც არ არის ისეთი, რომ ორი კაცი ერთმანეთს ასცდეს. დიდის ხნის უწვიმობის შემდეგ ამ თთვის 12-ს, ნაშუადღევს დაუშვა კოკისპირული წვიმა; იწვიმა თითქმის მთელს ღამეს, მოვარდა საშინელი ღვარი, წამოიღო ღვარმა დიდის ხნის გაუსუფთავებელ ეზოებიდან ნაგავი, ქვა-ქვიშა, ღორღი და ვეღარ გაიგნო გზა. ეცა ერთის ხელოსნის, ი. ჯანაშვილის სახლს და კინაღამ ცოლშვილით არ დაჰღუპა. შეზიდა, როგორც ეზოში, ისე საკუჭნაოში აუარებელი ღორღი; დაუქცია კედელი ქვიტკირისა და სახლში იმდენი ღორღი და ნაგავი შეზიდა, რომ დღესაც ვერ გამოუზიდნია საცოდავს.

ქართველი

[1]) ანაგა კიზიყში დიდი სოფელია, ალაზნის მხარეს, მთის ძირში.

[2]) მაშნარი იმავე მთის იქითაა, ივრის მხარეს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „Руск. Вѣдом.“-ში დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო წერილი შვეიცარიიდგან. ავტორი წერილისა მოგვითხრობს, როგორა სცხოვრობს შვეიცარიის გლეხი:

არსად არ მისდევს თურმე ხალხი ისე მტკიცედ წმ. პავლე მოციქულის სიტყვებს: „ვისაც სიცოცხლე სურს, უნდა იშრომოსო“, როგორც შვეიცარიაში. მუშაობს ყველა, ახალგაზდა და მოხუცი, ქალი და კაცი, დიდი და პატარა. მე ჩემის თვალითა ვნახეო, სწერს ავტორი, როგორ მხნედ მუშაობდნენ მოხუცებულნი, თმა გაჭაღარავებულნი შვეიცარიის გლეხნი. ვნახე, როგორც ჰქსოვენ არშიებს და როგორ უვლიან უსუსურს ბავშვებს 5—6 წლის ქალები; ვნახე როგორ მიაქვთ სოფლებიდგან მახლობელს ქალაქში გასასყიდი სანოვაგე 5—6 წლის ყმაწვილებს; ვნახე როგორ აგროვებენ გზატკეცილზედ პატივს 3—4 წლის ბალღები. ვნახე ყველა ეს და დავრწმუნდი, რომ შვეიცარიის გლეხის სიცოცხლეს შეადგენს შრომა, შრომა ბეჯითი, მხნე, გამუდმებული. ნუ დავივიწყებთ აგრეთვე, რომ სწავლა-განათლება (4—6 წლის განმავლობაში) ყველასათვის სავალდებულოა. აქვე დავუმატებ, რომ ინტერლაკენის უმშვე-

---

რონს, რომ მყუდროება არ დავურღვიო ხმაურობითა და დღე-ღამ ჩუმადა და დინჯად ვიყო, რათა არ შევაწუხო სახლის პატრონის მეუღლე, რომელსაც ცოტა „ნერვები“ აქვს მოშლილი და ხმაურობა ეჯავრება.

4) თუ ვინიცობაა ნათესავი ან სტუმარი ვინმე მეწვია, სახლის პატრონის დაუკითხავად, სახლში არ უნდა მივიღო.

5) დღესასწაულებში და სახლის პატრონის, მეუღლისა მისისა, შვილებისა და ნათესავთა მისთა დაბადების დღეს, მოვალე ვარ სახლის პატრონსა და მთელს ჯალაბობას საჩუქრები მივართვა, შეძლებისა დაგვარად.

6) თუ ყველა ეს პირობა არ შევასრულე, უნდა გადავიხადო ნეუსტოიკა 1,000 მანათი. ამდენივე „ნეუსტოიკა“ უნდა გადავიხადო მაშინაც, თუ გავბედე და ვუთხარი ვისმე, ჩემი სახლი რიგიანი არ არის-მეთქი.

7) მე-კი, ქვემორე ამისა ხელის მომწერი, სახლის პატრონი არაფერში არა ვარ მოვალე წინაშე მდგმურისა ჩემისა *).

**

ხუმრობა იქით იყოს, აბა დაფიქრდი, მკითხველო: ყოველ გვარ შევიწროებას, რომელსაც ჩვენ ვითმენთ სახლის პატრონებისაგან, ისიც დაუმატეთ, რა გვეხარჯება სახლის ქირაზედ. ვსთქვათ, თქვენ ჩემზედ უფრო ბედნიერი ხართ და (თუმცა-კი ძლიერ ვეჭვობ) სამი ოთახი 20 მანათად იქირავეთ. ეს წელიწადში შეადგენს 240 მანათს და 10 წელიწადში-კი 2,400 მანათს. ამ ფულით ადვილად შეგიძლიანთ ტფილისში სამ ოთახიანი სახლი აიშენოთ და იცხოვროთ თქვენთვის მოსვენებით. თორემ მიბრძანეთ, თუ ღმერთი გრწამთ, ათის წლის განმავლობაში მისცემთ თქვენს სახლის პატრონს 2,400 მანათს, თითქმის იმდენს, რაც სახლის პატრონს უღირს ეს სამი ოთახი, შემდეგ სახლს დასცლით და სახლის პატრონი, გზაში რომ შეგვხვდეთ, სალამსაც არ მოგცემთ. იმ 2,400 მანათით, რომელიც სახლის პატრონს უნდა აძლიოთ 10 წლის განმავლობაში, არა სჯობია თქვენთვის აიშენოთ საკუთარი სახლი, რომელიც საშვილიშვილოდ დაგრჩებათ?

კარგი და პატიოსანიო, მეტყვის მკითხველი. ვსთქვათ, ყოველ თთვე ჩემის შრომით სულ 60 მანათსა ვშოულობ. საიდგან გამოვთხარო ის 2,400 მანათი სახლის ასაშენებლადაო?

მეც აი სწორედ ამ საქმის შესახებ მინდა მოგელაპარაკოთ.

1891 წლის 13 დეკემბერს ტფილისში დაარსდა „საურთიერთო დახმარების ამხანაგობა სახლების აშენებისა“, რომელსაც აზრადა აქვს შეიძინოს მამულები და ააშენოს ზედ სახლები თავის ამხანაგთათვის. ამ ამხანაგობის წესდება დაიბეჭდა წრეულს გაზეთ „ივერიის“ 97, 104 და 110 ნომერში. ამ წესდების 1 მუხლი ამბობს:

ამხანაგობას აქვს აზრად შეიძინოს თავის ხარჯით, ხელ-მისაწვდომ ფასად, თითოეულის თავის ამხანაგის სახელობაზედ უძრავი მამული. ამ აზრის განსახორციელებლად თითოეულს ამხანაგს შემოაქვს არა ნაკლებ ათის თუმნისა დასაარსებლად ძირის ფულისა. ეს ფული უნდა იქმნას შემოტანილი ანუ ერთ ხანად, ანუ ნაწილ-ნაწილ, სახელდობრ: ამხანაგად შემოსვლისათანავე არა ნაკლებ ერთის თუმნისა, ხოლო შემდეგ—არა ნაკლებ ექვსის მანათისა ყოველ ორს თთვეში ერთხელ, ვიდრე არ შეივსება ათი თუმანი წილის ფული.

როგორც ჰხედავთ, ეს პირობა დიდს შეღავათს აძლევს იმას, ვისაცა ჰსურს ამხანაგობის წევრად გახდეს, რადგანაც შეუძლიან წვრილ-წვრილად შეიტანოს წილის ფული.

მაგრამ, ვსთქვათ, შევიტანე ეს 100 მანათი. როგორ მოახერხებს ამხანაგობა, რომ 100 მანათით სახლი აშენოს? აი როგორ:

ვსთქვათ, ამხანაგობის წევრებად ჩაეწერა 1000 კაცი და ყველამ თავისი წილი 100 მან. შეიტანა. ეს იზამს 100,000 მანათზედ მეტს, რადგანაც, ვიდრე ამხანაგობის წევრთა ფული შეგროვდებოდეს, წინად შემოტანილი ფული ამხანაგობას ბანკში შე-

*) ვსდებს ანაძლეოს, რომ ეს „კანდრახტი“ მარტო ოხუჯობისათვის არის მოგონილი. ტფილისის სახლების პატრონები ძლიერ პატიოსანი ხალხია. მაშ როგორა გნებავთ, ვილაც აბრა ბრძანდებით: კაცი სახლის პატრონიც იყოს და თავის სახლში უფლება არ ჰქონდეს? დიდი რამა რის თქვენი 25 მანათი თთვეში. ან როგორ არ გეშინიანთ, რომ სახლის პატრონებსა ჰკიცხავთ? სწორედ ისე მოგდით: „ნავში მჯდომი მენავეს ეჩხუბებოდაო“.

ასოთ-ამწყობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ერესი სახლი—სკოლაა. სკოლის შენობას რომ შეჰხედოთ, სწორედ ხელმწიფის სასახლე გეგონებათ.

მაგრამ არსად არა შრომობს შვეიცარიის გლეხი ისე მხნედ, ბეჯითად, როგორც ბერნის შვეიცარიაში. აქაურს გლეხს რომ შეხედოთ, იტყვით, სწორედ შრომისათვის არის დაბადებულიო. ბერნის მცხოვრები დაბალის ტანისა, მარღვიანი, მკლავ-ღონიერი, შრომისაგან წელში მოხრილი, დინჯი, მუდამ დაფიქრებული: ეტყობა, დღე და ღამ იმასა ჰფიქრობს, როგორ მოავწყო უკეთ ჩემი ოჯახიო.

დიაღ, მძიმე უღელს ეწევა შვეიცარიის გლეხი, მაგრამ ნუ გგონიათ, რომ ღარიბ-ღატაკი იყოს, მშიერ-მწყურვალი, ან რიგიანი სახლი არა ჰქონდეს სადგომად. არა, შვეიცარიის გლეხი, თუმცა ბევრსა შრომობს, მაგრამ სამაგიეროდ ისე ნებივრადა და სიამოვნებითა სცხოვრობს, რომ ჩვენს გლეხს არც-კი და ესიზმრება. ბერნის გლეხისათვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს სუფთა საცვალი, კარგი ლოგინი, დილით ყავა, ხორცი, თეთრი პური კარაქით, ჟურნალ-გაზეთი და წიგნები. ყველა ამისათვის ფულია საჭირო და ამ ფულის საშოვრად შვეიცარიის გლეხი შრომობს დილიდგან საღამომდე და მისდევს აწინდელ სახელმწიფოთა წეს-წყობილების მცნებას: „მთელი შენი სიცოცხლე შრომაში გაატარე, თუ არ გინდა შიმშილით სული ამოგხდეს, ან გლახაკად და გასაკითხად გახდეო“.

## წერილი ლაბუშერისა

ნორტგემპტონის ლიბერალთა და რადიკალთა საზოგადოების მიმართ.

(დასასრული*)

„ჩვენა გვაქვს სხვა საჭიროებანიცა, რომელნიც მიმაჩნია აგრეთვე დიდად საყურადღებოდ და რომელთა უგულებელყოფა ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ ვთხოულობთ საარჩევანო რეფორმასაც, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს იმ გარემოებას, რომ ერთს კაცს ბევრი საარჩევანო კენჭი ეძლევა; უნდა გაუქმდეს აგრეთვე ის კანონები რეგისტრაციისა, რომლის მეოხებითაც მრავალი ამომრჩეველი მოკლებულია კენჭს. ჩვენ გვინდა, რომ კარი პარლამენტისა ყურამდე ღია იყოს ღარიბთათვის და რომ ყოველს წოდებას თავის რაოდენობის კვალობაზედ ჰყავდეს თავისი წარმომადგენელნი პარლამენტში. გვინდა ყოველივე ესე, იმიტომ-რომ ხანგრძლივმა გამოცდილებამ ჭკუა გვასწავლა, იმიტომ-რომ ის პარლამენტი, რომელშიაც თითქმის მარტო მდიდარნი ბრძანდებიან, არას დროს სამართლიანს კანონებს არ შემოიღებს იმ ქვეყნისათვის, სადაც უმრავლესობა ღარიბი და ღატაკია. ჩვენ გვინდა, რომ სოფლელები განაგებდნენ თავიანთ სასოფლო საქმეებს, რომ ისინი არავინ არ მოაშოროს მიწას, რომელსაც ხარებივით ჰხვნენ და სთესვენ. ჩვენ ვთხოულობთ, რომ ყველას მიეცეს უფლება და ღონისძიება გარჯისა და მხნეობისა სრულიად და სავსებით. ჩვენ გვინდა, რომ ინგლისის ეკკლესია ვალისში სახელმწიფო დაწესებულება აღარ იყოს; ეს იმიტომ-კი არ გვინდა მარტო, რომ ამისი შესრულება მართლის სამართლის ქმნაა ვალისის შესახებ, არამედ იმიტომაც, რომ ასეთი რეფორმა ინგლისშიაც მალე განახორციელებს საეკკლესიო რეფორმას. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, მოისპოს დამღუპველი უფლებანი და უპირატესობანი მედუქნეებისა და არავითარი ჯილდო არ ეძლეოდეთ იმათ ხალხის ყვლეფისათვის. ჩვენ გვინდა, რომ ხარჯი გაიწერებოდეს შეძლების კვალობაზედ და რომ საზოგადო ფული ფრთხილადა და დაზოგვით იხარჯებოდეს: თითოეული მოხელე იმდენს ჯამაგირს უნდა იღებდეს, რამდენიცა ჰღირს მისი სამსახური და ღვაწლი სახელმწიფოს წინაშე, და არა იმდენს, რამდენისაც ღირსია ის ვითომ დიდის შთამომავლობისა და გვარიშვილობისათვის. ჩვენის აზრით, წესად უნდა გვქონდეს დადებული, რომ უცხოეთის სახელმწიფო საქმეებში არ ვერეოდეთ და არც ერთს იმპერატორსა და მეფეს არ უნდა დავპირდეთ შველასა და მომხრეობას, უკეთუ ვიცით, რომ ისინი შეკავშირებულან საფრანგეთის რესპუბლიკის წინაალმდეგ. რადა? რადა და იმიტომ, რომ ამისთანა დაპირება ჯერ თავისითვე არ არის საკადრისი და მერე იმიტომ-რომ მაგისთანა დაპირებას შეუძლიან ჩვენც ჩაგვითრიოს და ჩაგვაბას რომელსამე ჩვენთვის ყოვლად უსარგებლო ომსა და ლაშქრობაში. თუ ლორდთა პალატა იმდენს მოუფიქრებლობას გამოიჩენს, რომ წინააღმდეგობას დაუწყებს ქვეყნის ცხადად გამოთქმულს სურვილს, ჩვენ ზოზინს ნუ მოვყვებით, განაყიშებულს საქმეს ნუ დავტოვებთ, ვიტვირთოთ ბრძოლა და ვიბრძოლოთ ბოლომდე. უკვე მოგახსენეთ, რომ ბევრი საქმე გვაქვს ჯერ კიდევ გასაკეთებელი, ხოლო სხვა-და-სხვა პრივილეგიებით აღჭურვილნი თავ-განწირულებით დაიწყებენ ბრძოლას, ოღონდ-კი ხელიდამ არ გამოეცალოთ თავიანთი ბედნიერება და ოღონდ-კი შეაფერხონ როგორმე სადემოკრატო წინ-სვლა; ამიტომ დიდად სანანურადა მაქვს, რომ პარლამენტის მოქმედება ამ შემოდგომიდამვე არ იწყება. მაგრამ ამის იმედი-კი მაქვს, რომ პარლამენტი ამ წლის დეკემბრიდგან 1894 წლის იანვრამდე იმუშავებს განუწყვეტლივ და იოტის ოდენს არაფერს არც გადასდებს და არც დასტოვებს აუსრულებელს იმ ზომიერს პროგრამაში, რომელიც ნიუკესტლს იქმნა გამოქვეყნებული; გადადება საქმისა საშიშია და ისინი, ვინც იტვირთა ასრულება დიდად საყურადღებო რეფორმებისა, მზად უნდა იყვნენ, საომრად გასულ ჯარის-კაცსავით, თავიანთი კერძო სიკეთე და მოსვენება შესწირონ სამშობლოს ბედნიერებას.

*) იხ. „ივერია“, № 197.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** დეპეშიდგან უკვე ვუწყით, რომ საფრანგეთმა 10 (22) სექტემბერს გადაიხადა დღესასწაული, რადგან ამ დღეს შესრულდა ასი წელიწადი მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ჯარმა ვალმაში გაიმარჯვა. ბრძოლის ველზედ ძეგლი აუგეს კელლერმანს, ჯარების მთავარ-სარდალს. ძეგლის კურთხევას დაესწრო საერო განათლების მინისტრი ბურჟუა, რომელმაც სხვათა შორის სთქვა თურმე: „მთელი საფრანგეთი 22 სექტემბერს იდღესასწაულებს რესპუბლიკის გამოცხადების დღედ. პალატამ გადასწყვიტა გადაიხადოს ასის წლის შესრულება ვალმის ბრძოლიდგან, რადგან ამ ბრძოლით დაიწყო ერის დიადი დღესასწაული. ამ ორს ამბავს მჭიდრო კავშირი აქვს ერთმანეთთან და, როგორცა სთქვა მიშლემ: „რესპუბლიკას ვალმის ბრძოლაში გამარჯვება გაუხდა საფუძვლად“. ვიდრე რესპუბლიკა გამოცხადდებოდა, ვალმში, სწორედ ამ ბექობზედ, სადაც ეხლა ვდგევართ, 22 სექტემბერს 1792 წლისას, ზარბაზნების სროლის დროს, კელლერმანის ჯარის-კაცებმა, ომის ცეცხლშიაც-კი უშიშრებმა, შეერთებულს ევროპას დაანახვეს, რომ საფრანგეთი თავისუფალია და ვერც ერთი საზღვარ-გარეთის სახელმწიფო ვერ დაუხშობს ამ თავისუფლებასაო. ამ ბრძოლაზედ დამსწრემ, გერმანიის დიდებულმა პოეტმა იმავე საღამოს პრუსიის აფიცრებს უთხრა: „ამ ადგილას და ამ დღიდგან ახალი ხანა დაიწყო მთელის ქვეყნიერების ისტორიისა და თქვენც თავ-მომწონედ შეგიძლიანთ სთქვათ, რომ დაესწარით ამ ახალის ხანის დაწყებასაო“. აქ იჩინა თავი ახალმა ძალამ, მანამდე უცნობელმა, მაგრამ დაუძლეველმა და ყოვლად შემძლემკი—აზრმა ცალკე ადამიანისა და მთელის ერის უფლებისამ, აზრმა საფრანგეთის რევოლიუციისამ. ორ მებრძოლ ჯარს შორის ერთი გაწურთნული იყო და წესსა და რიგზედ დაწყობილი, მეორე-კი ყოვლსავე წესსა და ერთობას მოკლებული; ერთი გამარჯვებას იყო ჩვეული, მეორეს წარსულისა თავ-მოსაწონებელი არა ჰქონდა-რა. ასე იყო, მაგრამ პირველი აირ-დაირია, დაიბნა, მეორემ-კი დიდი თავ-გამოდება და მხნეობა გამოიჩინა; პირველმა ისე დაიწია უკან, რომ წინააღმდეგობაც არ გამოუჩენია, მეორე—დაუძლეველი შეიქმნა. ამისი მიზეზი ის არის, რომ ფრანგ ჯარის-კაცთა და მათ უფროსთა შორის უფრო ძლიერი კავშირი იყო, ვიდრე სამხედრო მორჩილებაა, უფრო ძლიერი დისციპლინა ჰსუფევდა, ვიდრე ფრიდრიხ დიდის ჯარში. მათ ერთი აზრი, ერთი სურვილი და ერთი იმედი აერთებდა. მთელს ამ ჯარს ერთი სული ედგა ერისა. პირველად შეეთვისნენ და შეუერთდნენ ერთმანეთს ჯარი და ერი; პირველად მოხდა, რომ ჯარი საზღვრებთან ერთად თავისის მოქალაქობის უფლებას იცავდა; ზარბაზნებსა და თოფებს მაშინ თავს დასტრიალებდა პირველად ის აზრი, რომ უფლება და თავისუფლება საერთო საკუთრებაა და ყველამ უნდა გამოვიღოთ მისთვის თავიო. მოკავშირეთა ტყვიათა შორის თავის თავად შესდგა პირველი საეროვნო ჯარი. ეს ეროვნება გამოიხატა და გამოითქვა კელლერმანის სიტყვებით, რომელიც ათასმა ჯარმა განიმეორა: „გაუმარჯოს ჩვენს ერსაო!“ დღეს რესპუბლიკის მომხრე საფრანგეთი მთელის ერის მხრივ მადლობას უხდის ვალმის ბრძოლაში მონაწილეობის მიმღებ ჯარის-კაცთ... გაუმარჯოს ჩვენს ერს! გაუმარჯოს რესპუბლიკას!“.

## † რუდოლფ იერინგი

5-ს ენკენისთვეს ქ. ჰეტტინგენში (გერმანიაშია) გარდაიცვალა განთქმული სწავლული, შესანიშნავი იურისტი და ჭეშმარიტი ფილოსოფოსი—რუდოლფ იერინგი. მისი მსგავსი ღრმად მოაზრე იურისტი ბევრი არა ჰყოლია გერმანიას. იერინგმა დაჰბადა ახალი მიმართულება იურიდიულს მეცნიერებაში და ადვილის, სალიტერატურო ენის შემწეობით გაიტაცა არა მარტო სპეციალისტები.

მისი თხზულებანი „Духъ римскаго права“, „Цѣли въ правѣ“ და ბევრიც სხვა ისეთის ადვილის, სალიტერატურო ენითაა დაწერილი, რომ არა სპეციალისტებიც გატაცებით დაეწაფნენ ევროპაში და რუსეთში. სპეციალისტებ შორის იერინგმა შეჰქმნა მთელი სკოლა სწავლულებისა, რომელთაც შეითვისეს მისი აზრები და რომელნიც სწვრთნიდნენ და სწვრთნიან ახალგაზდობას უნივერსიტეტებში. ისტორია და ფილოსოფიაშიაც იერინგი იყო ახალი მოაზრე და მისი თანამოაზრენი გერმანიის გარეშეც ბევრნი არიან. სხვათა შორის, რუსეთის სწავლულებიცა და ახალგაზდობაც დიდს თაყვანსა სცემდა განსვენებულს მეცნიერს.

იერინგი დაიბადა 1818 წლის 18 აგვისტოს ქ. აურიხში. 1843 წელს 25 წლის იერინგი დანიშნეს პროფესსორად ბერლინის უნივერსიტეტში და მას აქეთ გერმანიის ყველა უმთავრესს უნივერსიტეტში დაჰყო რამდენსამე ხანს. სულ ბოლო დროს ჰეტტინგენში იყო. ამ ერთის თვის წინად მისმა თაყვანის-მცემლებმა, მახლობელმა მეგობრებმა იდღესასწაულეს ქ. კასსელში 50 წლის იუბილეი. მისთა თანამოაზრეთა და პატივისმცემელთ სწავლულთ-კი ჰსურდათ, რომ ამ შემოდგომას გადაეხა-

---

აქვს და ამ ფულს სარგებელი მოაქვს. მაგრამ, თუ გნებავთ, ამ ბუჩულებს თავი დავანებოთ და ისევ 100,000 მანათი ვიანგარიშოთ. როცა ეს ფული შეგროვდება, ამხანაგობის კრება გადასწყვეტავს, პირველად რამდენს წევრს უნდა აუშენოს სახლი. ვსთქვათ, პირველად 15 კაცს უნდა აუშენოს სახლი. ამ თხუთმეტს შორის ზოგი, რასაკვირველია, უფრო იაფ ფასიანსა და პატარა სახლის აშენებას ითხოვს, ზოგი—დიდისას. ორთა შუა რიცხვით, თითო სახლის ფასი ადგილიანად 3,000 მანათი რომ ვიანგარიშოთ, ეს იზამს 45,000 მანათს. ამ ფულით ამხანაგობა 15 წევრს უშენებს სახლს. შემდეგ ამ სახლებს ბანკში აგირავებს და ბანკიდგან აღებულის ფულით ახლა სხვა 15-სა ან 20-ს კაცს უშენებს სახლს, ამ სახლებსაც აგირავებს და ახლა სხვებს უშენებს.

წევრმა, რომელსაც ამხანაგობამ სახლი აუშენა, შემდეგის რიგითა დ წესით უნდა გადაიხადოს სახლის ფული. ვსთქვათ, ამხანაგობის მიერ თქვენთვის აშენებული სახლი დაჯდა 3,000 მანეთი. ამ სახლს ამხანაგობა ბანკში აგირავებს და ბანკი აძლევს ამ სახლში 2,100 მანათს 18 წლის ვადით. ამ 18 წლის განმავლობაში ბანკს უნდა გადუხადოთ ეს 2,100 მანათი და ამ ფულის 6%, ხოლო ამხანაგობას 900 მანათი, რადგანაც ამხანაგობას 3,000 მანათი დაუხარჯავს თქვენის სახლის აშენებისათვის და ბანკიდგან-კი სულ 2,100 მანათი აუღია. ამხანაგობის ვალს ან ერთად გადიხდით, ან არა-და, ნაწილ-ნაწილ, შეძლებისა-და გვარად. ამ გვარად იაფად შეიძენთ ტფილისში საკუთარს სახლს. თუ ვინიცობაა რაიმე მიზეზისა გამო ხვედრი ფული ვერ გადუხადეთ ბანკსა და ამხანაგობას, იგი ან გაყიდის სახლსა, ან სხვა წევრს გადასცემს იმავე პირობით.

ამხანაგობას რაღა მოგება აქვს თქვენის სახლის აშენებისაგან? ჯერ ერთი, თქვენ მიერ წილად შეტანილ 100 მანათის სარგებელი და შემდეგ კიდევ ის მოგება, რომელიც ამხანაგობას რჩება სახლების აშენებით. ტფილისის აგურხანების პატრონებმა უკვე შეიტყეს, სახლების ამშენებელი ამხანაგობა დაარსდაო; ერთმა მექარხნემ მოჰმართა ამხანაგობას და სთხოვა, ოღონდ ჩემგან იყიდეთ აგური და, რაც მაზანდა იქნება, 1,000 აგურზედ ერთ მანეთს დაგითმობთო.

ტფილისში ბევრია ისეთი ცალიერი ადგილი, რომლის გაყიდვაც პატრონს ერთადა ჰსურს და განაწილება არ უნდა. ამხანაგობა ყიდულობს ამ ადგილს, ჰყოფს რამდენსამე ნაწილად და აშენებს ზედ სახლებსა წევრთათვის. თითო სახლისთვის ადგილი ძლიერ იაფადა ჯდება. ამას გარდა, რამდენისამე ხნის შემდეგ მამულს ფასი ემატება. ამ გვარად ამხანაგობა ცალიერ ადგილების ყიდვაშიაც ბევრს ფულს იგებს.

ამასთან ისიც მიიღეთ მხედველობაში, რომ ამხანაგობის მოგება თითოეულს წევრსაც ერგება. წესდების მე-24 მუხლის ძალით, წლიურ ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, ამხანაგობის მოგება ასე განაწილდება:

20% ჩაირიცხება სათადარიგო თანხად. ამ თანხას იმ რაოდენობამდე, რომელსაც გარდასწყვეტს საზოგადო კრება, საგნად ექმნება გაისტუმროს ზარალი ამხანაგობისა, ხოლო ნამეტნავობა შეიძლება მოხმარებულ იქმნას, როგორც სამუშაო თანხა; 60% მიემატება ამ თანხას; ხუთის წლის შემდეგ-კი, მას მერედ, როცა დაიწყო ამხანაგობის მოქმედება, ამ 60%-დგან მიეცემათ იმდენი მოგება წევრთ, რამდენიც თითოეულს პაის შეხვდება; დანარჩენი 20% განაწილებულ იქმნება ამხანაგობის გამგეობის მოხელეთა შორის“.

ამხანაგობის წესდებას რუსულ ჟურნალ-გაზეთებმა დიდი ყურადღება მიაქციეს, რადგანაც დიდად ხელ-საყრელი და ღარიბთათვის სასარგებლო დაწესებულებაა. სხვათა შორის ამ ამხანაგობის შესახებ ჟურნალი „Практическая Жизнь“ სწერს, რომ ეს ამხანაგობა ფრიად სასარგებლო იქმნება და მისი წესდება ძლიერ გონიერიაო.

სასურველია, რომ ჩვენმა შეგნებულმა საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს ამ ამხანაგობის წესდებას, თითონაც ასწონ-დასწონოს წესდება და, თუ ჭკუაში დაუჯდება, მიემხროს ამ ამხანაგობას.

დროა, დრო, შევიგნოთ ძალა შეერთებით მუშაობისა, რომელიც საზღვარ-გარეთ, წარმატებულს ქვეყნებში, სასწაულებსა ჩადის და რომელმაც ადამიანის ცხოვრება ერთი ათად განაკარგა, განაუკეთესა და უფრო ადამიანური გაჰხადა, ვიდრე აქამდე იყო.

აბრა

დნათ დიდი დღეობა; იმის სადიდებლად... მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა არ და აცალა იეირინგს მიეღო დამსახურებული პატივი სწავლულებისაგან და ამ წუთისოფელს 73 წლისა გამოასალმა.

# რუსეთი

პეტერბურგს 10—11 სექტემბერს ავად გახდა 19, გარდაიცვალა 13, მორჩა 36; კრონშტადს 9 სექტემბერს ავად გახდა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 10, გარდაიცვალა 2, მორჩა 22.

მოსკოვს 9 სექტემბერს ავად გახდა 12, გარდაიცვალა 7, მორჩა 7; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 1, მორჩა 5.

კიშინევს 9—10 სექტემბერს ავად გახდა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 20, გარდაიცვალა 11.

ვორონეჟს 7—10 სექტემბერს ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2, მორჩა 1; მთელს გუბერნიაში იმავე ხანში ავად გახდა 210, გარდაიცვალა 121, მორჩა 45.

ყაზანს 9 სექტემბერს ავად გახდა 4, მორჩა 6; მთელს გუბერნიაში კვლავ ავად გახდა 159, გარდაიცვალა 76.

კიევს 9 სექტემბერს ავად გახდა 56, გარდაიცვალა 18, მორჩა 33; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 87, გარდაიცვალა 44, მორჩა 43.

კურსკს 9 სექტემბერს ავად გახდა 19, გარდაიცვალა 9, მორჩა 4; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 313, გარდაიცვალა 131, მორჩა 179.

რიგასა და ბოლდერაას 5—9 სექტემბერს ავად გახდა 12, გარდაიცვალა 6; კვლავ ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2, ავად არის 13.

ლიუბლინს 9 სექტემბერს ავად გახდა 73, გარდაიცვალა 28, მორჩა 113; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 49, გარდაიცვალა 32, მორჩა 20.

სამარას 9 სექტემბერს ავად გახდა 5, მორჩა 6; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 332, გარდაიცვალა 155, მორჩა 316.

სარატოვს 9 სექტემბერს ავად გახდა 1, გარდაიცვალა 2; მთელს გუბერნიაში კვლავ ავად გახდა 388, გარდაიცვალა 177; ცარიცინს ავად გახდა 2, გარდაიცვალა 3.

კერჩს 9 სექტემბერს ავად გახდა 12, გარდაიცვალა 11, მორჩა 12; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 15, გარდაიცვალა 3, მორჩა 8.

ტამბოვს 10 სექტემბერს ავად გახდა 295, გარდაიცვალა 131, მორჩა 8.

ხერსონს 8 სექტემბერს ავად გახდა 59, გარდაიცვალა 25; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 81, გარდაიცვალა 25.

ნოვოჩერკასკს 7—8 სექტემბერს ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1, მორჩა 4; ტაგანროგს ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1; როსტოვს ავად გახდა 4, მორჩა 2; ოლქებში ავად გახდა 398, გარდაიცვალა 142, მორჩა 260.

# წვრილი ამბავი

ასტრონომიის მეცნიერებამ ახალი შესამენი შეიძინა. აქამდე ცნობილი იყო, რომ იუპიტერს ოთხ თანამავალ ვარსკვლავის მეტი არა ჰყავს. ახლა-კი ნიუიორკიდგან იუწყებიან, რომ Hamilton-ის მთაზე ობსერვატორიის პროფესორს, ვარსკვლავთ-მრიცხველს Barnat-ს აღმოუჩენია მისი მეხუთე თანამავალიც. ეჭვი არაა, ეს ახალი ამბავი გულს აუტოკებს შეუშფოთებელსა და დინჯი ასტრონომებს!...

— მილანში (იტალიაში) 6-ს ენკენისთვეს იყო საერთაშორისო და სალიტერატურო-საარტისტო კონგრესი, რომელზედაც დაესწრნენ მთავრობის წარმომადგენელნიც. ბევრნი უცხოელნიც დაესწრნენ კონგრესს. საფრანგეთიდგან ყველაზედ მეტნი იყვნენ. ბევრი სიტყვა იყო წარმოთქმული. ჯერ ქალაქის პრეფექტმა და სენატორმა რანომ წარმოსთქვეს სიტყვა, როგორც ქალაქისა და მთავრობის წარმომადგენელთ. იტალიის მწერალთა საზოგადოების მხრივ წარმოსთქვა სიტყვა ბ-ნმა Visconti - Venosta-მ. ყველა ზემოხსენებულ ორატორს უპასუხა პარიჟის სალიტერატურო და საარტისტო საზოგადოების თავმჯდომარემ პულიემ, რომელმაც მადლობა განუცხადა იტალიელებს მეგობრულ დახვედრისათვის და ქება შეასხა იტალიას, როგორც სამშობლოს ხელოვნებისას, იტალიის მეფე-დედოფალიც თანაგრძნობით მოიხსენია. სხვა დელეგატებმაც მადლობა განუცხადეს იტალიელებს გულ-უხვის სტუმართ-მოყვარეობისათვის. პულიეს სიტყვას ნიშნად მოწონებისა მოჰყვა საერთო ტაშის კვრა.

— ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადების წინად ცეცხლის მფრქვევმა მთამ, ვეზუვიმ დაჰქლუპა ორი ქალაქი: პომპეია და გერკულანი. ამ მე-XIX საუკუნეს არხეოლოგებმა და მეისტორიეებმა მებნა დაუწყეს იმ ადგილს, სადაც ზემოხსენებული ძველი ქალაქები ჰყვაოდა, მიაგნეს და აქამდე მ ხოლოდ რამდენისამე სახლის ნაშთსა და ძველს ავეჯეულებას ჰპოულობდნენ. ახლა-კი ქ. პომპეიას ადაგას აღმოუჩენიათ ერთი სახლი, ფრიად შესანიშნავი ხუროთ-მოძღვრების მხრივ. ეს სახლი კარგად შენახულა მიწის ქვეშ აქამდე, თითოეული წვლილი ცხადად ეტყობა ამ სახლს. ძველი სახლი ძლიერ დიდია. მხატვრობა და ჩუქურთმა ძველის დროისა ამ სახლის შემწეობით შესაძლებელია აღდგენილ იქმნას. უნდათ, რომ სახლი დაიცვან ისე, როგორც ნახეს.

— უკანასკნელმა საერო არჩევანმა ინგლისის ზედ-იღბლის მართვა-გამგეობა ისევ ლიბერალთა დასს ჩააბარა. ამ დასის მეთაური, როგორც ვიცით, არის უხუცესი ევროპის სახელმწიფო კაცი—გლადსტონი. გაზეთები საყურადღებო ცნობებს გვაუწყებენ იმის შესახებ, თუ რამდენი შემოსავალი და ჯამაგირი აქვს გლადსტონის ამხანაგ მინისტრებს. აი მათი სია: წლიური შემოსავალი ლორდ-სპენსერსა აქვს 460,000 მანეთი, ლორდ კარრინგტონსა 400,000 მან., ეკლანდეს—340,000 მ., ლორდ როზბერრის—320,000 მ.; ლორდ ვერნონს—240,000 მ., ლორდ გოფტონს—110,000 მ., ლორდ რაიბედლეს—70,000 მ.; დანარჩენთ აქვთ არა უმეტეს 50,000 მანათისა. ჯამაგირი მთავარ წევრთ სამინისტროს ასე ეძლევათ: ირლანდიის მმართველს—ვიცე-კოროლს—200,000 მ., იუსტიციის მინისტრს—100,000 მ., გლადსტონა-კი, როგორც მთავარ-მინისტრი იღებს ჯამაგირს წლიწადში—50,000 მ., და ამდენსავე როგორც პირველი ლორდი ხაზინისა; დანარჩენი, ნაკლებ შესანიშნავნი წევრნი სამინისტროსანი, იღებენ 10,000—20,000 მანეთამდე.

— გასაოცრად მატულობს გერმანიის სამხედრო ბიუჯეტი მას აქეთ, რაც შეერთდნენ ცალკ-ცალკე გერმანიის მთავრები და პრუსიის მეთაურობით იმპერია დაარსდა. აი მაგალითი: ჩვეულებრივი სამხედრო ბიუჯეტი 250 მილლიონი მარკა 1875 წელს გახდა 319 მილ. მარკა, 1880—81 წ.—328 მილ. მარკა, 1885—86 წ.—338 მილ. მარკა და 1892—93 წელს-კი—427 მილ. მარკ. ამ ხანში ერის რაოდენობამაც იმატა, თუმცა არა იმდენად, რომ არ იყოს გასაკვირი ზემომოყვანილი მატება ბიუჯეტისა. 1870 წელს გაერთიანებულ გერმანიაში ირიცხებოდა 40,8 მილ. სული, 1875 წელს—42,07 მილ., 1880 წ.—45,2 მილ., 1885 წ.—46,9 მილ. და 1892—93 წ. აიწევს 50,5 მილ. სულამდე. ეს ციფრები მჭევრმეტყველებით გვიმტკიცებს თავის თავად, რომ სამხედრო ბიუჯეტს გერმანიაში იმპერიის დროს უფრო ბევრი მოჰმატებია, ვიდრე ხალხს. მაშასადამე, კეთილდღეობითაც უფრო დაქვეითებულა.

— პროფესსორს კოხს უთქვამს, რომ წერილებისა და გაზეთების გაგზავნ-გამოგზავნით ერთის ადგილიდგან მეორე ადგილს ხოლერა არ გავრცელდებაო.

# დეპეშა

17 სექტემბერი

**პეტერბურგი.** გაზ. „Московскія Вѣдомости“-ს მეორედ გამოეცხადა გაფრთხილება იმ წერილის გამო, რომელიც შეეხებოდა მწყემს-მთავრის ეპისტოლეს.

პეტერბურგის ბირჟა, 15 სექტ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,87 | 7,92 | —,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 157 3/4 | 158 1/2 | —,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | —,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | —,, | —,, | —,, |
| —მეორისა . . . . | —,, | —,, | |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | —,, | —,, | 236 218 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | 191 1/2 |
| 6% . . . . . . | 102 1/4 | —,, | |
| 5% . . . . . . | 99,87 | —,, | |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | 102 1/4 | —,, | —,, |
| 5% . . . . . | 99,87 | —,, | —,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98,12 | —,, | —,, —,, |


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში (Караванъ-сарай Земельн. банка № 125) ახალი წიგნი.

**რუხი მგელი**

მოთხრობა გ. წერეთლისა

ფასი სამი შაური

იოსებ ი. გოკიელოვის მაღაზიაში

**ქუთაისში**

ისყიდება მოსწავლეთა რვეულები (ტეტრადები) კარგის ხარისხისა.

თითო 3 კაპ.

**ასობით** 2 მ.—50 კ.

აგრეთვე მცირე ფასებად მოსწავლეთა ყველა კუთვნილებანი.

(20—116—8)

ა ხ ლ ა დ   გ ა მ ა რ თ უ ლ ი

**პანსიონი და სასწავლებელი**

ა. გ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბადღოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყება 25 სექტემბრიდამ.

(50—6)

**ბუნების კარი**

დაიბეჭდა წერა-კითხვის საზოგადოების მიერ მეშვიდე გამოცემა, გადმობეჭდილი უცვლელად მეხუთე გამოცემიდგან, რომელიც სახელ-გაკეთებულია (рекомендовано) განათლების მინისტრისაგან როგორც „მშვენიერი სახელმძღვანელო ქართულის ენისა სახალხო სკოლებისა და პროგიმნაზიებისათვის“, და აგრეთვე უწმიდესის სინოდის მიერ. ფასი მკვიდრი და ლამაზი ყდით ოთხაბაზუზალთუნი (90 კაპ.), უყდოდ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცს ცალსა—თხუთმეტ შაურადდავინც ოც-და-ათს ცალსა—თოთხმეტ შაურად.

სხვა ქალაქებიდგან წიგნი უნდა დაიბარონ ამ ადრესით: въ Тифлисъ, въ книжный магазинъ Общества грамотности, Банковскій Караванъ-Сарай, № 125 и 126.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერია“**

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.